

საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისათვის

თანამშრომლობის მემორანდუმი

პრეამბულა

ბავშვთა და ახალგაზრდების კეთილდღეობისთვის საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით კოალიციის ჩამოყალიბების საკითხი შეთავაზებულ იქნა მხარეებისთვის ქართულ-რუმინული სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე 2012 წლის 23 თებერვალს, რაზეც საბოლოო შეთანხმება 2012 წლის 24 თებერვალს ჩატარებულ შეხვედრაზე იქნა მიღწეული. კოალიციაში გაწევრიანების მსურველმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა წინამდებარე მემორანდუმი შეიმუშავეს 2012 წლის 27 მარტს ყვარელში და შეთანხმდნენ შემდეგზე:

მოცემული მემორანდუმის გაფორმების მიზანია ხელმომწერ მხარეთა სურვილი დაადასტურონ საკუთარი ნება, რომ კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და ურთიერთთანამშრომლობის საწყისებზე დაყრდნობით შექმნიან კოალიციას, მიიღებენ გადაწყვეტილებას მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შესახებ, შეიმუშავენ კოალიციის დებულებას, დაადგენენ საერთო კრების უფლებამოსილებას და შეთანხმდებიან იმ ძირითად პრინციპებზე, რომლის ფარგლებშიც და საფუძველზეც კოალიცია იმოქმედებს ამ მემორანდუმის მე-2 მუხლით განსაზღვრული კოალიციის მიზნის მისაღწევად.

1. კოალიციის მისია

„საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისათვის“ (სკბაკ), არის თანასწორუფლებიანობის პრინციპზე დაფუძნებული, ბავშვებისა და ახალგაზრდების საკითხებზე ორიენტირებული საქართველოში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაერთიანება, რომლის მიზანია ქვეყანაში ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობის არსებული სისტემის განვითარება და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობა.

2. კოალიციის მიზანი

კოალიციის ძირითად მიზანს წარმოადგენს ბავშვთა და ახალგაზრდათა უფლებების ადვოკატირება სახელმწიფო და საერთაშორისო დონეებზე, მათ შორის რეგიონალურ კოალიციებში წევრობის გზით.

3. უფლებები და მოვალეობები

კოალიციის და მისი წევრების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საერთო კრების მიერ და აისახება კოალიციის დებულებაში.

4. მემორანდუმის მოქმედების ვადა

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია მისი გაფორმების დღიდან იქამდე, ვიდრე მისი შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას არ მიიღებს საერთო კრება.

5. მემორანდუმში ცვლილებების შეტანა

5.1. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, მისი გადასინჯვა, და განახლება დასაშვებია მხოლოდ საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე

5.2. გადასინჯვა ხდება კოალიციის საერთო კრების მიერ, კოალიციის ნებისმიერი წევრის ინიციატივის საფუძველზე.

5.3. გადასინჯული მემორანდუმი იქნება შესრულებული წერილობით ფორმაში და ხელმოწერით დადასტურებული კოალიციის წევრი ყველა ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ